სამშენებლო კომპანიები: „ელემენტ კონსტრაქშენი“ და „დაჩ ჰაუს გრუპი“

The Best Nominee: Residential complex in Bagebi
Location: Tbilisi, Georgia
Author: David Sultanishvili
The construction companies: Element Construction; Dutch House group










ნომინაცია:
## მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი

Nomination:
## Block of Apartments / Residential Complex



საუკეთესო ნომინანტი: მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი
მდებარეობა: ფირდოუსის ქუჩა, თბილისი
ავტორები: თეიმურაზ ღვანიძე, ლეილა ღვანიძე, ლია ღვანიძე, არჩილ რამიშვილი, თამარ ქემოკლიძე, ნუნუ შატბერაშვილი
სამშენებლო კომპანია: „ლაზათი და კომპანია“

The Best Nominee: Multifunctional residential complex at Firdousi street
Location: Tbilisi, Georgia
Authors: The Achitectutal/construction company: Ltd. Lazati &Company
Teimuraz Ghvanidze, Leila Ghvanidze, Lia Ghvanidze, Archil Ramishvili, Tamar Kemoklidze, Nunu Shatberashvili






ნომინაცია:
## მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი

Nomination:
## Block of Apartments / Residential Complex



საუკეთესო ნომინანტი:  აპარ-ოტელი ბათუმში
მდებარეობა: საქართველო
ავტორები: მიხეილ გიორგობიანი, მარინე ლაზაშვილი

The Best Nominee: Apart Hotel in Batumi
Location: Tbilisi, Georgia
Authors: Mikheil Giorgobiani, Marine Lazashvili













ნომინაცია:
## ქალაქგეგმარებითი პროექტი

Nomination:
## City planning project



საუკეთესო ნომინანტი: სახლი წყნეთში
მდებარეობა: საქართველო
ავტორები: ალექსანდრე ახვლედიანი, გიორგი სინჯარაძე, მარიამ ჭეიშვილი, მარიამ ჭულუხაძე

The Best Nominee: River Mtkvari decontamination and infrastructural project in Tbilisi
Location: Tbilisi, Georgia
Authors: Aleksandre Akhvlediani, Giorgi Sinjaradze, Mariam Cheishvili, Mariam Chulukhadze











ნომინაცია:
## ქალაქგეგმარებითი პროექტი

Nomination:
## City planning project



საუკეთესო ნომინანტი: ქ.თბილისიდან რკინიგზის მაგისტრალური ხაზის გადატანის შედეგად გამოთავისუფლებული ტერიტორიის ქალაქგეგმარებითი კონცეფცია
მდებარეობა: საქართველო
ავტორი: გიორგი ვარდანაშვილი

The Best Nominee: Urban concept of dilapidated rail yards in Tbilisi
Location:  Georgia
Author: Giorgi Vardanashvili











ნომინაცია:
## ქალაქგეგმარებითი პროექტი

Nomination:
## City planning project



საუკეთესო ნომინანტი: მრავალფუნქციური კომპლექსი კოჯრის ტყე-პარკში
მდებარეობა: საქართველო
ავტორი: ლუდმილა ჩიქოვანი

The Best Nominee: Multifunctional complex in Kojori Forest
Location:  Kojori, Tbilisi, Georgia
Author: Liudmila Chikovani











ნომინაცია:
## რესტავრაცია-რეკონსტრუქცია

Nomination:
## Reconstruction / Restoration



საუკეთესო ნომინანტი: სასტუმრო მეტეხის კლდეზე
მდებარეობა: ძველი თბილისი
ავტორები: დავით ბაირამაშვილი, თეიმურაზ დურმიშიძე, ბორის პაიჭაძე

The Best Nominee: River Mtkvari decontamination and infrastructural project in Tbilisi
Location:  Hotel at Metekhi rock
Authors: David Bairamashvili, Teimuraz Durmishidze, Boris Paichadze













ნომინაცია:
## რესტავრაცია-რეკონსტრუქცია

Nomination:
## Reconstruction / Restoration



საუკეთესო ნომინანტი: სასტუმრო „აივანი'' ძველ თბილისში
მდებარეობა: საქართველო
ავტორები: თამაზ შაშიაშვილი. ვაჟა ორბელაძე,ოლია კენჭიაშვილი. ლალიკო შაშიაშვილი.
კონსტრუქტორი: თამაზ ქვრივიშვილი.  მშენებელი: რევაზ ჩაჩხიანი

The Best Nominee: Aivani Hotel
Location: Samghebro Street, Old Tbilisi, Georgia
Authors: Tamaz shashiashvili. Vaja orbeladze, Olya kenchiashvili. Laliko Shashiashvili. Constructor: Tamaz Kvrivishvili. Builder: Revaz Chachkhiani















ნომინაცია:

## რესტავრაცია-რეკონსტრუქცია

Nomination:

## Reconstruction / Restoration



საუკეთესო ნომინანტი: სასტუმრო „მუზეუმი“ ორბელიანის ქუჩაზე, თბილისში
მდებარეობა: საქართველო
ავტორი: დარეჯან (დადუნა) შათაშვილი.
კომპანია „არტიტეჩი“
მშენებელი: რევაზ ჩაჩხიანი

The Best Nominee: Museumi  Hotel
Location: Orbeliani street, Tbilisi, Georgia
Author:  Darejan (Daduna) Shatashvili.
Artytechs Company. Builder: Revaz Chachkhiani




















ნომინაცია:

## საცხოვრებელი ინტერიერი

Nomination:

## Residential interior



საუკეთესო ნომინანტი: საცხოვრებელი ინტერიერი „პატარა დიდი სახლი“
მდებარეობა: თბილისი, საირმის გორა
ავტორი: მაია წერეთელი

The Best Nominee: Little big housing
Location: Sairme hill, Tbilisi, Georgia
Author: Maia Tsereteli













ნომინაცია:
## საცხოვრებელი ინტერიერი

Nomination:
## Residential interior



საუკეთესო ნომინანტი: საცხოვრებელი ბინა გოგებაშვილის ქუჩაზე, თბილისში
მდებარეობა: საქართველო
ავტორი: ილია ზაქარაია. „სტუდია კუბი“

The Best Nominee: Apartment at Iakob Gogebashvili street
Location: Tbilisi, Georgia
Author: ILIA ZAKARAIA ( Studio “CUBE”)












ნომინაცია:
## საცხოვრებელი ინტერიერი

Nomination:
## Residential interior



საუკეთესო ნომინანტი: სახლი ლისის ტბასთან
მდებარეობა: საქართველო
ავტორი: დავით ხურცილავა

The Best Nominee: Apartment near Lisi Lake
Location: Tbilisi, Georgia
Author: David Khurtsilava








ნომინაცია:
## საზოგადოებრივი ინტერიერი

Nomination:
## Public interior



საუკეთესო ნომინანტი: სასტუმრო „გროუ დიზაინ ჰოტელი“
მდებარეობა: თბილისი
ავტორი: არქიტექტურის ლაბორატორია N3

The Best Nominee: The Grove Design Hotel
Location: Tbilisi, Georgia
Author: Laboratory of Architecture N3











ნომინაცია:
## საზოგადოებრივი ინტერიერი

Nomination:
## Public interior



საუკეთესო ნომინანტი: სოვაჟი - კონცეპტულაური მაღაზია
მდებარეობა: ჭოველიძის ქუჩა, თბილისი
ავტორები: ვლადიმერ აბრამიშვილი, იაროსლავა უკრაინა, თამარ მენთეშაშვილი
(კომპანია დემარკი)

The Best Nominee: SAUVAGE - Concept store
Location: T.Chovelidze street. Tbilisi, Georgia
Authors: Vladimer Abramishvili, Yaroslava Ukraina, Tamar Menteshashvili (DMARK Company)











ნომინაცია:

## საზოგადოებრივი ინტერიერი

Nomination:

## Public interior

საუკეთესო ნომინანტი:  საიუველირო სალონი „ჩხირა“
მდებარეობა: აბაშიძის ქუჩა, თბილისი
ავტორები: კომპანია Artytechs,  ალექსანდრე ბურჭულაძე, დავით ჩხეიძე

The Best Nominee:  Chkhira - Jewellery salon
Location: Abashidze street, Tbilisi, Georgia
Authors: Artytechs Company; Alexander Burchuladze, David Chkheidze













ნომინაცია:

## საზოგადოებრივი ინტერიერი

Nomination:

## Public interior

საუკეთესო ნომინანტი: „პერსონალური ოფისი“
მდებარეობა: კიევი, უკრაინა
ავტორი: ვიქტორია იაკუშა. სტუდია „იაკუშა დიზაინი“

The Best Nominee:  Personal Office
Location: Kiev, Ukraina
Author: Victoriya Yakusha.  Yakusha Design Company













ნომინაცია:
საზოგადოებრივი შენობა

Nomination:
## Public construction



საუკეთესო ნომინანტი: მედიათეკა
მდებარეობა: თბილისი
ავტორი: არქიტექტურის ლაბორატორია N3

The Best Nominee: Mediatek
Location: Tbilisi, Georgia
Author: Laboratory of Architecture N3











ნომინაცია:
საზოგადოებრივი შენობა

Nomination:
## Public construction



საუკეთესო ნომინანტი: გაგუას კლინიკა
მდებარეობა: თბილისი
ავტორი: დავით ცუცქირიძე

The Best Nominee: GAGUA CLINIC - Maternity Hospital
Location: Tbilisi, Georgia
Author: David Tsutskiridze / Tsutskiridze+Architects













ნომინაცია:
## საზოგადოებრივი შენობა

Nomination:
## Public construction



საუკეთესო ნომინანტი: ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემია
მდებარეობა: მარჯანიშვილის ქუჩა, თბილისი
ავტორი: გიორგი ქურდიანი

The Best Nominee: Leila Meskhi Tennis Academy
Location: Marjanishvili street, Tbilisi, Georgia
Author: Giorgi Kurdiani











ნომინაცია:
## სტუდენტური პროექტი

Nomination:
## The best student project



საუკეთესო ნომინანტი: მთაწმინდის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის ურბანული განვითარების კონცეფცია
მდებარეობა: თბილისი, მთაწმინდის რაიონი
ავტორები: სოფიო ბუზარიაშვილი, ბაქარ ბალიაშვილი, სუხა ზვიადაური, ვაჟა ჭოხური, ავთანდილ ახალბედაშვილი
ხელმძღვანელები: ნანა ქუთათელაძე, ზურაბ ნემსაძე

The Best Nominee: Urban Development Concept of Territory of Mtatsminda street
Location: Tbilisi, Georgia
Authors: Sopio Buzariashvili, Bakar Baliashvili, Sukha Zviadauri, Vazha Tchokhuri, Avtandil Akhalbedashvili
Heads of the project: Nana Kutateladze,  Zurab Nemsadze







ნომინაცია:
## სტუდენტური პროექტი

Nomination:
## The best student project



საუკეთესო ნომინანტი: ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი - დღე და ღამე
მდებარეობა: მარჯანიშვილის ქუჩა, თბილისი
ავტორი: გიორგი დალალიშვილი
ხელმძღვანელი: იოსებ ალავიძე

The Best Nominee: Individual living house - day and night
Location: Tbilisi, Georgia
Author: Giorgi Dalalishvili
Head of project: Ioseb Alavidze











ნომინაცია:
## სტუდენტური პროექტი

Nomination:
## The best student project



საუკეთესო ნომინანტი: მოზარდთა გამოსასწორებელი ცენტრი
მდებარეობა: ქ.თბილისი ლისის მიმდებარე ტერიტორია
ავტორი: დავით კომახიძე
ხელმძღვანელები: გია ნადირაძე, დავით ბოსტანაშვილი

The Best Nominee: Adolescent Remediation Center
Location: Lisi Lake territory nearby, Tbilisi, Georgia
Author: David Komakhidze
Heads of project: Gia Nadiradze, David Bostanashvili









ნომინაცია:
## მწვანე არქიტექტურა

Nomination:
## Green Architecture



საუკეთესო ნომინანტი:  ვერტიკალური ბაღები
მდებარეობა: თბილისი
ავტორი: ლია ქურციკიძე

The Best Nominee: Vertical Gardens
Location: Tbilisi, Georgia
Author: Lia Kurtsikidze













ნომინაცია:
## მწვანე არქიტექტურა

Nomination:
## Green Architecture




საუკეთესო ნომინანტი: კერძო ბაღი
მდებარეობა: დაბა წყნეთი, საქართველო
ავტორი: ირმა ირემაძე

The Best Nominee: Private garden in Tskneti
Location: Lisi Lake territory nearby, Tbilisi, Georgia
Author: Irma Iremadze






ნომინაცია:
## მწვანე არქიტექტურა

Nomination:
## Green Architecture



საუკეთესო ნომინანტი:  ბიოლი ჰოლი.
მდებარეობა: კოჯორი, საქართველო
ავტორი: თამაზ მჭედლიძე

The Best Nominee: Bioli Hall.
Location: Kojori, Georgia.
Author: Tamaz Mchedlidze










ნომინაცია:
## მწვანე არქიტექტურა

Nomination:
## Green Architecture



საუკეთესო ნომინანტი:  ცენტრალური პარკის განახლება ბულონ-ბილიანკურში
მდებარეობა: დიდი პარიზის რაიონი
ავტორი: ბერტრან ბესი

The Best Nominee: Renewal of central park and creation of a new public garden in Boulogne-Billancourt
Location: Greater Paris area, France
Author: Bertrand Bès









წელს უკვე მეხუთედ „არქიტექტურული პრემია 2017“ -ის დაჯილდოების ცერემონიალზე, კონკურსის ორგანიზატორის - „საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის“ გადაწყვეტილებით, არქიტექტურის სფეროში მოღვაწეობისთვის სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ:

During the ceremony of „Architectural Award 2017” Based on the decision of the Association of Architects of Georgia, these persons were awarded prizes for special contribution to development of architecture:



საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, არქიტექტურის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი ბატონი მერაბ ჩხენკელი

MERAB CHKHENKELI - Honored architect of Georgia, Doctor of Architecture; Professor of the Architecture Faculty of Tbilisi State Academy of Arts; Academician of Georgian Engineering Academy



LEVAN BERIDZE - Honored architect of Georgia, Doctor of Architecture; Professor of the Institute of Architecture, Urban Planning and Design of Georgian Technical University;

საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, არქიტექტურის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი, ბატონი ლევან ბერიძე



## სატრანსპორტო კვანძის მოწესრიგების პროექტი

უკანასკნელ წლებში თბილისის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტმა მნიშვნელოვანი რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილებები განიცადა - დღეს თბილისის სატრანსპორტო მაგისტრალები და მოქმედი საშუალებები, განსაკუთრებით კი მიწისზედა ტრანსპორტი ხასითდება გაძნელებული მოძრაობით. იგი ვერ პასუხობს დიდი ქალაქის ცხოვრების ჩქარ ტემპს და დაბრკოლებებს უქმნის მოქალაქეებს დანიშნულების ადგილამდე მიყვანის საქმეში. თბილისის სატრანსპორტო მაგისტრალებზე არსებული ხარვეზები, ე.წ. საცობები მრავალ მიზეზთანაა დაკავშირებული. საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის განვითარების კომლექსური გეგმის სტრატეგიულ მიმართულებად აუცილებლად მიჩნეული უნდა იქნას მასობრივი გადაზიდვების ტრანსპორტის (მეტროპოლიტენი, ავტობუსი და ა.შ.) უპირატესი განვითარება. მიწისზედა სამგზავრო ტრანსპორტის რეაბილიტაციისა და განვითარების კონცეფცია (ხანგრძლივვადიანი პროგრამა) უნდა შემუშავდეს ცენტრალური მაგისტრალების განტვირთვის კონკრეტული ღონისძიებებით (მოკლევადიანი პროგრამა) სამეცნიერო ორგანიზაციების, გამოცდილ პრაქტიკოს ინჟინერთა და ქალაქის სატრანსპორტო სამსახურების ერთობლივი მონაწილეობით.

## თბილისში გულიას მოედნის რეკონსტრუქცია

პროექტის ავტორები:
ინჟინერი ვენედი ლარცულიანი
არქიტექტორი დიანა რეხვიაშვილი





# პროექტის მოკლე აღწერილობა

**ავტორებისგან:** გთავაზობთ ქ. თბილისის ისან-სამგორის რაიონის ტერიტორიაზე დაგეგმილი სატრანსპორტო კვანძების ახალ დაპროექტებას.

ჩვენს პროექტში შედის მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული (პ. ბაგრატიონი, ორთაჭალჰესი, დ. გულიას მოედანი, ავტოსადგურის წინ მდებარე ტერიტორია) და ასევე მდ. მტკვარის მარცხენა სანაპიროზე მდებარე მოედნების (დაწყებული ორთაჭალჰესიდან გ.გულუას მოედნის ჩათვლით) სატრანსპორტო კვანძების დაგეგმარება. ჩვენს მიერ წარმოდგენილი სატრანსპორტო კვანძები გადაწყვეტილია ორ








დონეზე და ორგანიზებულია ორმხრივი შეუფერხებელი უსაფრთხო მოძრაობით (გამონაკლისს წარმოადგენს გ. გულუას მოედანი, სადაც გამოყენებულია ნაწილობრივ წრიული მოძრაობა, შეზღუდული ტერიტორიის გამო).

წარმოდგენილია ავტოსადგურიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით (რუსთავის გზატკეცილი) სანაპიროზე ხიდი მტკვარზე და ესტაკადა, სადაც ორგანიზებულია ორმხრივი, შეუფერხებელი, უსაფრთხო მოძრაობა.

პროექტის ძირითად ნაწილში შემოთავაზებულია სიახლე ფეხითმოსიარულეთა გადასასვლელებზე. კერძოდ, 100%-იანი შეღავათი ფეხით მოსიარულეებისა და 100%-იანი შეღავათი სატრანსპორტო საშუალებებისათვის.

შეუფერხებელი მოძრაობა, ესე იგი მოძრაობა შუქნიშნების გარეშე – ჩვენს მიერ შემოთავაზებულია ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელი, სადაც ესტაკადა არის 3 მეტრის სიმაღლეზე ავტოტრანსპორტისათვის, ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელი კი რჩება ასფალტის დონეზე.

პროექტი აგრეთვე ითვალისწინებს გულიას მოედანზე ახალი კომერციული













# ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲘᲕᲠᲪᲔ

ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲐ: თბილისი, ალექსიძის ქუჩა
ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲘ: 72 კვ.მ
ᲐᲕᲢᲝᲠᲘ: ნინო მანჯავიძე

თბილისში, ალექსიძის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებლის ინტერიერი თვითმყოფადია - აბსოლუტურად განსხვავებული სტილისტიკით გამოირჩევა. არაორდინალური ანტურაჟი საგნობრივ გარემოს კიდევ უფრო ამრავალფეროვნებს. ინტერიერის ელეგანტურობა დახვეწილ დეკორში ვლინდება, შესაბამისად ავტორის – არქიტექტორ ნინო მანჯავიძის პროფესიონალიზმი ყოველ ფრაგმენტში შეიგრძნობა. სივრცის სწორად ორგანიზაცია, ფერისა და მასალის ჰარმონია, ოსტატურად მოფიქრებული და გადანაწილებული განათების დიზაინი, მოცემულ სათავსოთა საერთო სტილისტურ გადაწყვეტასთან შესაბამისი ფურნიტურა, გემოვნებით შერჩეული აქსესუარები - საერთო იდეითა და თემით გამთლიანებულ, ჰარმონიულ ინტერიერულ სახეს ქმნის. მასში დეტალურადაა გათვლილი ყოველი ნიუანსი, გამოკვეთილია სივრცის ინდივიდუალურობა.

ᲜᲘᲜᲝ ᲚᲐᲚᲘᲫᲔ
ფოტო: ᲠᲐᲤᲐᲔᲚ ᲐᲠᲖᲣᲛᲐᲜᲝᲕᲘ









# INDIVIDUAL SPACE

LOCATION: Aleksidze Street, Tbilisi
AREA: 72 sq.m.
AUTHOR: Nino Manjavidze

The interior of residential, located in Aleksidze Street, Tbilisi, possesses an original, absolutely unique atmosphere. Elegance of the interior shows itself in refined decor, designed by architect nino Manjavidze. Efficient space organization, harmoniously matched colors and design materials, skillfully planned lighting, suitable furniture and tastefully picked accessories form an ingenious and integral interior. Every detail of the design is carefully calculated.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY Rafael Arzumanov







# ყაზბეგის სასტუმრო პორტა კავკასია







ადგილმდებარეობა:
სტეფანწმინდა, საქართველო
ავტორი: ქართული პროექტი

კომპანია „ქართული პროექტის“ ამოცანა იყო სასტუმროს ინტერიერის და ექსტერიერის დიზაინის დამუშავება. ვინაიდან სასტუმრო „პორტა კავკასია“ კავკასიონის ჯადოსნურ მთებში უნდა აშენებულიყო, მიზნად დაისახა ერთგვარი ოცნების სასტუმროს შექმნა. პროექტზე მუშაობის დაწყება „ქართული პროექტის“ არქიტექტორებს: ნანა ჭურაძეს, იანა (გაიანა) მოისეევას, ირინა ბუჯიაშვილს ნულიდან მოუხდათ: მათ უნდა გამოეცოცხლებინათ მთაგორიანი პეიზაჟი - შემოქმედებითი პროცესი წარმატებით განხორციელდა.

სასტუმროს ექსტერიერს, და ტერიტორიის ინფრასტრუქტურას დეტალურად ახლო მომავალში გაგაცნობთ (იგი დახვეწის პროცესშია), ამჟამად კი წარმოგიდგენთ მისი ინტერიერის გარკვეულ მონაკვეთებს, კერძოდ, სასტუმროს ფოიეს და მისაღებს (Lobby/Reception) და ღვინის მაღაზიას. აქ ბუნებრივი მასალების დომინირება აძლიერებს ტურისტული ცენტრის სტილს და განსაკუთრებულ კომფორტს და სიმყუდროვეს სთავაზობს სტუმრებს. ფოიესა და მისაღებში მეტად თანამედროვე გარემოა შექმნილი, კლასიკური დიზაინის ელემენტები ერწყმის ტყავის სავარძლებს, რომლებიც თითქოს საგანგებოდაა შექმნილი ამ ინტერიერისთვის. ფოიესა და მისაღების საერთო სივრცეში ავტორებმა პროფესიონალიზმზე დაყრდნობით მყუდრო, განმარტოებული კუთხეები შექმნეს.

ღვინის მაღაზია (Wine Shop By Khareba Winery) სტუმართმოყვარე და მეგობრული სივრცეა, სადაც სტუმრებს შეუძლიათ შეძენისას დააგემოვნონ არაჩვეულებრივი სასმელი და გაეცნონ მისი დაყენების ტექნოლოგიას.

„პორტა კავკასიას“ „ამაღლებულ“ და სტუმართმოყვარულ გარემოში განსაკუთრებული სიმშვიდეა გამეფებული დახვეწილი დიზაინის, ბუნებრივი მოსაპირკეთებელი მასალების და დაბალანსებული ინტენსივობის განათების შერწყმით.







# HOTEL PORTA CAUCASIA KAZBEGI



LOCATION: Stepantsminda, Georgia
AUTHOR: Georgian Project Company

From the company: Georgian Project Company was aimed to create an interior and exterior concept for mountain hotel. As „Porta Caucasia" is situated in magical Caucasian mountains, authors - architects Nana Churadze, Iana (Gaiana) Moiseeva, Irina Bujiashvili wanted to create a dream hotel. when creating the mood of the hotel's exterior and interior design. The use of natural materials in the interior creates „mountain hotel" style, guests feel themselves immediately at home. The ambiance of the Lobby/Reception is very contemporary, with elements of clasic design combined with leather armchairs found in a club.







While planning the Lobby/Reception area, we preferred to use furniture to divide the space and create comfortable places with the privacy encountered in a interior. The Wine Shop (Wine Shop By Khareba Winery) area is very friendly, where we have communal place for guests. Here you can taste wine and get acquainted with manufacturing technology. In The interiors of the hotel carry more relaxing aura, which is archived by the use of organic materials, dimmed lighting simplicity.

# დამზადებულია საქართველოში

FRISK STYLE
ფრისკ სტაილი



ავეჯის ბრენდი - ფრისკ სტაილი/Frisk Style
ავტორები : ინგა ნიკლაური, ალექსანდრე ვარვარიძე, გიორგი კურტანიძე, ირინა აბრამიშვილი, კოკო ვარვარიძე




ფრისკ სტაილი 2015 წელს დავაფუძნეთ. დავურეკე მეგობრებს და მეორე დღესვე შევუდექით სამუშაოს. ყველანი ჩვენი საქმის პროფესიონალები ვიყავით, ზუსტად ვიცოდით თუ რა პროდუქტი უნდა მიგვეღო. მინიმალური ხარჯებით და მოძიებული ძველი ხის მასალით დავამზადეთ ავეჯი და მცირე დროში პირველი მყიდველებიც გამოჩნდნენ.

თანდათან ფრისკ სტაილი ჩამოყალიბდა საკმაოდ მოთხოვნად ბრენდად. დაინტერესება დიდია უკვე არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, სულ მალე ფრისკის პროდუქციას ევროპულ ბაზარზეც ვიხილავთ ცნობილი დიზაინერების გვერდით.

პირველი შოურუმი ჭავჭავაძის ქუჩაზე, ავტოფარეხში გავხსენით. დღემდე ჩვენი ხელით ვამზადებთ და ეკოლოგიურად სუფთა საშუალებებით ვამუშავებთ. ფრისკის ავეჯზე მოთხოვნის მატებასთან ერთად, გაჩნდა იდეა პროფილის გაფართოების და გადავწყვიტეთ ქართული ავეჯისა და აქსესუარების შოურუმი გაგვეკეთებინა.

ქართული ავეჯის ანდერგრაუნდი/Georgian Furniture Underground
ავტორები : ფრისკ სტაილი/Frisk Style
დამფუძნებლები: ფრისკ სტაილი/Frisk Style, კრისტი ძაგნიძე/Kristi Dzagnidze,
ამირან პატარქალაშვილი/Lucas Industries






ქართული ავეჯის ანდერგრაუნში წარმოდგენილია დიზაინერების და ბრენდების პროდუქცია :

ფრისკ სტაილი/Frisk Style, კრისტი ძაგნიძე/Kristi Dzagnidze, LTD Nino Arevadze, Cyberia, Hooda, Nino Bakhutashvili/Pesvebi Art Studio , Giorgi Bandzeladze, Guga KotetiShvili, Factory/ფაქტორი, Bacho Gergeda, Tinatin SamadaShvili/Tisami, Knit Decor, Anuka Tavartkiladze Product Design, Lighting by Natia Dalakishvili , WoodSon Georgia, Phepho , შნო/Shno, Woods, Pagu Pagu, Wooden / ვუდენი ,Giorgi Margishvili/ სტუდია სამი/Studio Sami, Murtaz Beraia, Sashka Asatiani, Liquidink, Unicorn Ceramics, Estia Handmade Arts, Geoposter და ა.შ.

ანდერგრაუნდში ეწყობა პერიოდულად სხვა და სხვა კულტურული ღონისძიებები .



2017 წელს შევუერთდი იასე ცინცაძის კონცეპტუალურ სივრცეს კიბერია.
არსებულ კიბერაქსესუარების სახელოსნოსთან პარალელურად ჩამოვაყალიბეთ შოურუმი კიბერია.
შოურუმი კიბერია/Showroom Cyberia
ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ : ინგა წიკლაური, იასე ცინცაძე
ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ: იასე ცინცაძე
კიბერ აქსესუარები, ავეჯი, განათება









ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠ-ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ ინგა წიკლაური





# ია გულისაშვილის ნუნო დიზაინი

– ნებისმიერი პროექტის დაწყების წინ ისეთი განცდა მაქვს, თითქოს პირველად ვაკეთებ..  მგონია, სანამ ეს განცდა მექნება – არ მომბეზრდება



არქიტექტორი ია გულისაშვილი მრავალი საინტერესო არქიტექტურული თუ ინტერიერული პროექტის ავტორია. მათ შორის ბევრია განხორციელებული. თუმცა ამჯერად, მისი შემოქმედების კიდევ ერთ, მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოგიდგენთ, რომელიც ვფიქრობთ, ჯეროვან ყურადღებას იმსახურებს.

ია გულისაშვილი ტრადიციული ხელოვნების კლასიკური საფუძვლების აღქმითა და მათი ემოციურ ინტერპრეტაციაში გატარებით, საკუთარ თვითმყობად შემოქმედებით სახეს წარმოაჩენს. ნაკეთობათა – სამოსთა -  მრავალფეროვნება კი, მისი შემქნელის მიმართ ინტერესებს მუდამ აძლიერებს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმისადმი შემოქმედებითი, სკურპულოზური მიდგომით, ნუნო თექის დიზაინის უჩვეულო ფორმები სამუშაო









სიბრტყეზე სხვადასხვა ფაქტურულ სისტემად გამთლიანებულ პალიტრად გარდაიქმნება.

ჩვენს რეალობაში ია გულისაშვილის უშუალო ძალისხმევით მრავალი არაორდინალური და ყოველ ჯერზე ერთადერთი სამოსი – მხატვრული ნაწარმოები -  იქმნება. მის მიერ შექმნილი შემოქმედებითი სამყარო მდიდარი და დახვეწილია.

**ია გულისაშვილი**: - თექის დამზადება უძველესი ტექნოლოგიაა  და არის მატყლის თელვის საფუძველზე შალის მტკიცე, სრულფასოვანი ქსოვილის დამზადება. ტრადიციულად, ასეთი ქსოვილის დასამზადებლად საჭირო იყო მატყლის რამოდენიმე ფენის გამოყენება. ეს ტექნიკა, მოთხოვნას რომ ქსოვილი ყოფილიყო სქელი, თბილი და გამძლე,  მშვენივრად პასუხობდა...

„ნუნო“თექა  - თექის ერთგვარი სახეობაა. ნუნო იაპონურად ქსოვილს ნიშნავს. „ნუნო“- ს დამზადების ტექნოლოგიის პრინციპი იგივეა იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში ერთ-ერთ ფენად მზა ქსოვილი გამოიყენება, მასზე თანაბრად ნაწილდება  მერინოსის (ძალიან მცირე მიკრონის) მატყლის მხოლოდ ერთი თხელი ფენა. დამუშავების  დროს მატყლის  ბოჭკოები აღწე-





ვენ ქსოვილში,მასთან ერთად აგრძელებენ თელვას და ვიღებთ ახალ უნაზეს ქსოვილს. ამ ტექნოლოგიამ მოგვცა საშუალება ძალიან თხელი და ნაზი ტანსაცმლის შექმნისა.

„ნუნო“ ტექნიკამ გააჩინა უზარმაზარი რესურსი ქსოვილზე მომუშავე მხატვრებისათვის. იმისდა მიხედვით, რა მასალას გამოვიყენებთ საფუძვლად, შეგვიძლია შევქმნათ სხვადასხვა სისქისა, სტრუქტურის და დიზაინის ქსოვილი.

მთელი ხიბლი და აზარტი კი იმაშია, რომ წინასწარ ვერასოდეს გათვლი შედეგს 100%-ით. 90% -- ეს საუკეთესო შედეგია..

მოკლედ, ეს ტექნიკა, არა მხოლოდ ტექნიკურ, არამედ შემოქმედებით პროცესშიც იღებს მონაწილეობას. ჩემი ტანსაცმელი მზადდება შაბლონზე. ქსოვილს და ტანსაცმელს ერთდროულად ვქმნი. პროექტის დაწყებისას მაქვს შაბლონი, მატყლი და საჭირო ფერისა და ფაქტურის ქსოვილები. ჯერ კიდევ ნახევრად მზა სამოსი იხსნება შაბლონიდან და ამის შემდეგ, საბოლოოდ ხდება ტანსაცმლის ფორმირება: ხელით გრძნობ, როგორ მტკიცდება ქსოვილი, აკონტროლებ და ხელით ახდენ სხვადასხვა მოცულობითი დეტალების ფორმირებას, შენს





თვალწინ სამოსი იღებს სასურველ ზომასა და ფორმას, შედეგად იღებ მზა ტანსაცმელს, რომელსაც აქვს საყელო, ჯიბე და არც ერთი ნაკერი...

„ნუნო“-ში ვერასოდეს გააკეთებ საკუთარი ნამუშევრის კოპირებასაც კი. თექაში კიდევ შეიძლება მოახერხო. ნებისმიერი პროექტის დაწყების წინ ისეთი განცდა მაქვს, თითქოს პირველად ვაკეთებ.. მგონია, სანამ ეს განცდა მექნება - არ მომბეზრდება.





# IA GULISASHVILI'S NUNO DESIGN









Activities of architect Ia Gulisashvili. who strives to express her unusual design ideas through color and Nuno technic, appear diverse and original. Ia Gulisashvili ‘s works are marked with high performance skill and individuality, reflecting both the author’s inner world. Her art - Nuno Design - integrates classical background of traditional art and her own emotional self into unforgettably colorful personal style, leaving an indelible impression on the onlookers.

Ia Gulisashvili : - Nuno felting is a fabric felting technique. The name is derived from the Japanese word „nuno“ meaning cloth. The technique bonds loose fibre, usually wool, into a sheer fabric such as silk gauze, creating a lightweight felt. The fibres can completely cover the background fabric, or they may be used as a decorative design that allows the backing fabric to show. Nuno felting often incorporates several layers of loose fibres combined to build up colour, texture, and/or design elements in the finished fabric.









# პერფორმანსი გმირთა მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელში

გმირთა მოედანზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიწისქვეშაა, რომელიც წლების განმავლობაში სანაგვედ იყო ქცეული. ქ. თბილისის მერის ინიციატივით გადაწყდა მიწისქვეშა გადასასვლელის მოწესრიგება. პროექტში მონაწილეობის მსურველები თბილისის მერიასა და „თბილსერვის ჯგუფს“ სოციალური ქსელებისა და ცხელი ხაზის საშუალებით დაუკავშირდნენ, რის შემდეგაც „თბილსერვის ჯგუფის“ ორგანიზებით, მხატვრებისაგან შემდგარი საინიციატივო ჯგუფი ჩამოყალიბდა. შეირჩა ორმოცამდე მხატვარი, რომლებმაც ღონისძიება-ფესტივალის









- Street Art-ის ფარგლებში გმირთა მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელის მოხატვაზე იზრუნეს. მათ უცხოელ მხატვართა ჯგუფიც შეუერთდა, რომლებმაც ღონისძიებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს. ფესტივალი გაგრძელდა ერთი თვის განმავლობაში. მოიხატა ორი ათასი კვადრატული მეტრი. თემა იყო თავისუფალი და მხატვრებს მიეცათ შესაძლებლობა, რომ ბოლომდე გამოევლინათ თავიანთი ნიჭი და ხედვა. თბილისის მერიის ინიციატივით, გმირთა მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელში „თბილსერვის ჯგუფმა“ ასევე, მორეცხვითი სამუშაოები განახორციელა. პარალელურად, მოეწყო განათების ქსელი და დამონტაჟდა LED სანათები.

„თბილსერვის ჯგუფის“ მოვლა-პატრონობაში არსებულ სხვა მიწისქვეშა გადასასვლელებში კედლები ე.წ. Street Art-ის შესრულებით ეტაპობრივად მოიხატება.







# PERFORMANCE HERO SQUARE UNDERGROUND

Decorating works of underground passage at Hero Square are finished. In the scope of this project the underground passage was cleaned up, lighting system was arranged and CCTV cameras will be installed in the nearest future. Up to 30 painters participated in „Street Art“ festival. The artists got in touch with Tbilisi City Hall and „Tbilservice“ Group trough social media and municipality hot line. Afterwards, „Tbilservice“ Group established initiative group. 30 painters were selected to decorate underground passage at Hero Square. They were also joined by group of foreign artist.

With initiative of the Mayor, „Tbilservice“ Group conducted cleansing activities at Hero Square’s underground passage. At the same time lighting system with LED bulbs was arranged.Gradually, all underground passages under „Tbilservice“ Group management will be decorated with so-called Street Art.









# პერსონალური გამოფენა - 13 სიცოცხლე



The white crow’s black thought. Oil on canvas, 60X130



26.11.2017 გალერეა „წითელ კვადრატში“ გაიხსნა სოსო ნადირაძის პერსონალური გამოფენა, სახელწოდებით „13 სიცოცხლე“. სოსო ნადირაძის შემოქმედება ფერთა და ფორმათა პარადოქსია, ცოცხალია, თავისუფალია პირობითობისაგან. იგი სავსეა შინაარსით. ხელოვანის მაღალი ოსტატობა ყოველთვის ჯეროვნად იყო დაფასებული. დღეს იგი სხვაგვარად გაიაზრება, იძენს ახალ ფასეულობებს, გამოხატულებას და შესაბამისობას თანამედროვე გემოვნებასთან... და, რაც არ უნდა მოუხელთებელი იყოს სასურველი სახის ან ცხოვრებისეული მოვლენის სილამაზე, იგი არ ქრება, ყოველთვის რჩება შემოქმედში და ხელოვნების ნიმუშად გარდაიქმნება.



Shadow of Sun. Oil on canvas, 90X100



Pregnant. Oil on canvas, 90X110



# PERSONAL EXHIBITION - 13 LIVES

On November 26 2017, „Tsiteli Kvadrati“ gallery launched personal exhibition (entitled - 13 lives) of works by Soso Nadiradze.

Soso Nadiradze’s works highlighting the value of spatial solution and entering into artistic dialogue with people. High quality of artistic performance always enjoyed respect; nowadays it is estimated at a different plane, gaining in value, expressivity and compatibility with modern taste. Just one more note for the conclusion – however elusive the beauty may be, it invariably continues to exist in the artist’s mind – and if the artist manages to interpret it so as to preserve its value for a long time to come, then we deal with real art.





Generation. Oil on canvas, 60X120







Grown-up. Oil on canvas, 60X120





# ორი თბილისი



ახალ წელს თბილისში, ვერაზე, ზანდუკელის 27 ში გაიხსნა ახალი გალერეა „რკინის ხიდი“ . საგულისხმოა, რომ გალერეას ექნება თავისი განსაკუთრებული პროფილი - აქ ძირითადად მოეწყობა გამოფენები, სადაც სხვადასხვა ხელოვანთა მიერ იქნება თბილისი ასახული - მისი ისტორია, თანამედროვეობა, მისი მომავალი მოწყობის ხედვები. პერიოდულად მოეწყობა, ასევე თანამედროვე ხელოვნების წარმომადგენელთა გამოფენები, პროექტების პრეზენტაციები.

პირველი გამოფენა, სახელწოდებით „ორი თბილისი“ წარმოადგინა მხატვარმა კოტე ჯინჭარაძემ. მხატვრის ნამუშევრების რეტროსპექტივაში მთავარი ადგილი დაეთმო სერიას, სადაც ჩვენი ქალაქის ქუჩებია ასახული.

**ავტორისგან**: ყოველ ჩვენთაგანს თავისი საკუთარი დამოკიდებულება აქვს ქალაქთან, ქალაქი ჩვენი მეხსიერების საცავია, ჩვენი ბავშვობის, ჩვენი მოქალაქედ ჩამოყალიბების მდუმარე დამკვირვებელი. ის სულ არის, თაობები იცვლებიან, საუკუნეები ზანტად გადიან, ათწლეულები კიდევ უფრო მალე. ის კი სულ არის, დროის დაღი ძველი სახლების, ქუჩების და ხეების გარეგნობაზე მეტყველებს, რაც მათ უფრო მიმზიდველს ხდის. მთავარ და მეორეხარისხოვან პროსპექტებს, მოედნებს, პარკებს მრავალი მოვლენა, ტრაგიკომედიური ჟანრის ფარსი ახსოვთ - რამდენი დრამა, ტრაგედია გათამაშებულა თბილისში. მისი ისტორიაც ჩვენს კვალდაკვალ იზრდებოდა, ჩვენი მეხსიერება სახლიდან ეზოსკენ, კვარტლიდან უბნამდე, უბნიდან ქალაქამდე, ქალაქიდან გარეუბნებამდე ფართოვდებოდა. ერთიანი ურბანული სისტემა, რუქასა და მოჩვენებით მართვად კანონზომიერი მონაცვლეობის ფერხულშია და როგორც კი, სიღრმეების კვლევას იწყებ, მისი ზედაპირის მოჩვენებით ზერელე, ერთი შეხედვით მიმზდელი გარემოს კონტრასტულ შინაგან ქსოვილს თანმიმდევრულად გაჩვენებს, თითქოს სარკეში გახედებს.

ქალაქი ერთდროულად ხვედრიცაა და ბედისწერაც, მას შეუძლია ეგზოტიკურ კომფორტში აცხოვროს ბრიყვნი, ხელოვანი კი კიბის ქვეშ სიღარიბეში მოკლას. მას შეუძლია ერთ ქუჩაზე ერთმანეთის მეზობლად აცხოვროს ჯალათიც და მისი მსხვერლიც.

ჩემთვის, თბილისი მუდამ ორი იყო, ერთი ის, რომელშიც ვცხოვრობდი და მეორე, რომელზეც სხვადასხვა თაობები ყვებოდნენ, ერთს - ყოველდღიურ რეალობაში ვეხებოდი, მეორეს - ძველი შავთეთრი ფოტოებიდან.

დღესაც, ორი თბილისია ჩემთვის, ის, რაც მე მახსოვდა და ის, რაც სახეცვლილი რეალობაა, რომელიც ჩვენს თვალწინ ანგრევს ძველს და აშენებს ახალს - შფოთვით, წუხილით, რისხვით და ტკივილით. ბეტონის კორპუსებით გადატვირთული ძველი უბნებით, გაჩეხილ პარკებში და სკვერებში აღმოცენებული ცათამბრჯენებით... ორი თბილისი ერთი პოეზიით, ბუნებრივი, ნათელი და ნაცრისფერ გეომეტრიაში ტირაჟირებული ბეტონით, სადაც ცის ნაგლეჯებია, სადაც აღარაა ადგილი პოეზიისათვის...

არსებობს მესამე თბილისიც - ჩვენი ოცნებების, წარმოსახვების და წარმოდგენების ილუზორული, იდეალური, უნიკალური მოდელი, რომლის რეალობაში განხორციელება ისეთივე უტოპიაა, როგორც შეუსრულებელი ზე ამოცანა, რომელიც დაბადებიდან აკიდებული გვაქვს არარსებული მისიასავით.

კოტე ჯინჭარაძე









# EXHIBITION TWO TBILISI

The new gallery, „Iron Bridge“, opened in Zandukeli 27, in Tbilisi. It is noteworthy that the gallery will have its own special profile - There will be exhibitions, which will be reflected Tbilisi - Its history, modernity, his future arrangement visions.

Exhibitions of contemporary art will also be arranged periodically. Presentations of projects.

The first exhibition was presented by the artist Kote Jincharadze under the title „Two Tbilisi“, where presented retrospective of artist's works. The main place is dedicated to the series, where our city streets are reflected.

For me, Tbilisi was always two, the one in which I was living and the other for which many generations were saying, I meet one - In everyday reality and on the other in old black and white photos…

KOTE JINCHARADZE



# რადიოჰოლდინგ „ფორტუნას" დაარსების 20 წლისთავი



რადიოჰოლდინგი „ფორტუნა" 2017 წლის 31 დეკემბერს, 13: 00 საათზე ჰოლდინგის ოფისში გამართა შეხვედრა მედიისა და შოუბიზნესის წარმომადგენლებთან ჰოლდინგის დაარსების 20 წლისთავთან დაკავშირებით.

20017 წლის 31 დეკემბერს 20 წელი სრულდება, რაც „ფორტუნამ" მაუწყებლობა დაიწყო და მას შემდეგ რადიოსადგური იქცა ჰოლდინგად, რომელიც 4 რადიოს აერთიანებს და მოიპოვა საზოგადოების ნდობა და სიყვარული.

პირველი იყო რადიო „ფორტუნა", რომელიც ეთერში 1997 წლის 31 დეკემბერს გავიდა. 2000 წლის 1 სექტემბერს შეემატა „ფორტუნა+", 2004 წლის 1 ივნისს - რადიო „არ დაიდარდო" და ზუსტად ათი წლის თავზე, 2007 წლის 31 დეკემბერს მაუწყებლობა დაიწყო ჰოლდინგის მეოთხე რადიომ - „ავტორადიომ".

ამ ოცი წლის განმავლობაში ჰოლდინგი აქტიურად იყო და არის ქართული კულტურის, მეცნიერების, განათლების, ბიზნესის, ტურიზმის მხარდაჭერაში. გამოირჩევა სოციალური პასუხისმგებლობით და რაც მთავარია, საზოგადოებისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდებით. „ფორტუნა" დიდი პოპულარობით სარგებლობს ქართულ დიასპორებს შორისაც.

ოცი წლის განმავლობაში ჰოლდინგის ინიციატივით განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი, მაგალითად, როგორიცაა „ოქროს ტალღა", რომელიც უკვე 5 წელია, არსებობს და დიდი პოპულარობით სარგებლობს მუსიკოსებს შორის და ყოველწლიურად იზრდება კონკურსში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა და ჩართულობა სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება.

გარდა ამისა, ჰოლდინგი იყო საზოგადოებისთვის ძალიან პოპულარული პროექტების მხარდამჭერი.

„ფორტუნას" მიღებული აქვს არაერთი ჯილდო, მათ შორის, „ოქროს ფრთა", „ქართული ბრენდის დღე 2017", „ლიდერი ბრენდი", „ბიზნესის ეროვნული ჯილდო", „ტურიზმის ეროვნული ჯილდო" და ა.შ.













„ჩვენთვის ყველაზე დიდი ჯილდო არის ხალხის ის სიყვარული და ნდობა, რაც ამ წლების განმავლობაში მოვიპოვეთ და ვპირდებით საზოგადოებას, რომ ჩვენ მათ იმედს არ გავუმტყუნებთ," - ამბობს რადიოჰოლდინგ „ფორტუნას" გენერალური დირექტორი, თამარ ჩიგოგიძე.

**რადიოჰოლდინგი „ფორტუნა" ი.გაგარინის 24, ქ. თბილისი ტელ.: +(995) 32 2 38 30 30 ელ. ფოსტა: fortuna@fortuna.ge**













# ინოვაცია ICLEAN



საქართველოში ბევრი ნიჭიერი ადამიანია. წარმოგიდგენთ ქართველ ინჟინერს ბ-ნ გოჩა მუზაშვილს, რომელიც ამერიკაში მოღვაწეობს. თავისი იდეის განსახორციელებლად



იგი სამშობლოში ჩამოვიდა - შეიქმნა კომპანია BB Global Limited, რომლის დამფუძნებლებიც ახალგაზრდა ადამიანების ჯგუფია. ისინი მოტივირებულები არიან აკეთონ საქმე, რომლის მიზანია საქართველოში ყველა საინტერესო გამოგონების ინვესტირება და მსოფლიო ბაზარზე გატანა.

პირველი ასეთი, ნაოტექნოლოგიური პროდუქტი არის IClean, ეს გახლავთ Hi-tech, მისი მიზანია, ალუმინის და მეტალოპლასმასის ფანჯრების, ავტომატური წმენდა, (ნებისმიერი შუშის ზომაზე, მათ შორის ცათამბჯენებზე. მისი მართვის პულტი იქნება დისტანციური, ასევე მობილურის აპლიკაციიდან). მსოფლიოს წამყვანი ალუმინის ფანჯრის მწარმოებლები ინტერესდებიან Iclean-ს რობოტის ინტეგრაციით თავიანთ წარმოებაში. ახალი ინოვაციური პროდუქტი 4 თვეში გამოჩნდება მსოფლიო ბაზარზე. პროტოტიპი მზადდება ჩინეთში, სადაც ახლა გადის საბოლოო ფაზას - ტესტირებას. 2018 წლის აპრილში ქ. გუანჯიში, იმართება საერთაშორისო გამოფენა - Expo, სადაც კომპანია BB Global Limited -ის პროდუქტი - რობოტი IClean გამოიფინება. IClean-ს მსოფლიოში ანალოგი არა აქვს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ის ორიენტირებულია ადამიანზე: გაუმარტივოს შრომა, იყოს უსაფრთხო. ცათამჯენების შემთხვევაში კი პრაქტიკულად გამორიცხოს ადამიანის ფიზიკური დაშავება.

